# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

# მოქალაქის გზამკვლევი

2024 წელი

# შინაარსი


შესავალი ..... 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ..... 4

ბიუჯეტის შემოსულობები ..... 4

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით ..... 6

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები ..... 8

ინფრასტრუქტურის განვითარება ..... 10

დასუფთავება და გარემოს დაცვა ..... 20

განათლება ..... 22

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი ..... 24

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ..... 28

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ..... 31

# შესავალი

ბიუჯეტის ანგარიშის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღოზურგეთისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უკვე განხორციელებული ღოზურგეთისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ შედეგებს, განხორციელებულ აქტივობებს სძენს მეტ საჯაროობას.

ბიუჯეტის ანგარიშის გზამკვლევი მოიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის მოკლე აღწერას. კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის ანგარიშის პროექტი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2023 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2023 წლის 31 დეკემბერს  მდგომარეობით არსებულ მონაცემებს.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

## ბიუჯეტის შემოსულობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2023 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით, მათ შორის შემოსულობების სახეების მიხედვით.

*გრაფიკი #1*



*გრაფიკი #2*




ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წყაროების წილობრივი მაჩვენებელი შემდეგია:

*გრაფიკი #3*



## ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 70,3 მლნ ლარი (გრაფიკი #4).

*გრაფიკი #4*




გრაფიკებში #5-#6 მოცემულია 2021-2023 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #7 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2021-2023 წლები).

*გრაფიკი #5*




*გრაფიკი #6*



*გრაფიკი #7*




## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტმა შეადგინა 4 827,7 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 15,7 %-ს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #8-ზე.

*გრაფიკი #8*




2023 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან დაფინანსდა შემდეგი ხარჯები:

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება - 2023 წელი**

ათასი ლარი

| | |
|---|---|
| **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **7,537.3** |
| საკრებულო | **1,482.8** |
| მერია | **5,021.1** |
| სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | **140.6** |
| ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია | **499.5** |
| სარეზერვო ფონდი | **236.3** |
| მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა | **156.9** |

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #9-ზე.

*გრაფიკი #9*




2023 წლის განმავლობაში მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით 236,4 ათასი ლარი, დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

- საფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტის შესაძენად გაცემული დახმარებები;
- სამედიცინო მომსახურების დაფარვის მიზნით მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვა;
- სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება;
- სარიტუალო ხარჯებისთვის გაწეული დახმარებები;
- 2023 წლის 28-29 მარტს მომხდარი სტიქიის შედეგად მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები.

## ინფრასტრუქტურის განვითარება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 57% დაიხარჯა ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 40 306,0 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #10-ზე.

*გრაფიკი #10*




2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

**ინტრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება - 2023 წელი**

*ათასი ლარი*

| **პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება** | **სულ** | **საკუთარი სახსრები** | **სახელმწიფო ფონდები** |
|---|---|---|---|
| საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | **15,798.9** | **3,952.9** | **11,846.0** |
| წყლის სისტემების განვითარება | **1,630.9** | **1,047.4** | **583.5** |
| საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება | **8,372.6** | **5,610.4** | **2,762.3** |
| პროექტირება და ექსპერტიზა | **1,192.9** | **1,192.9** | |
| სამოქალაქო ბიუჯეტი | **135.4** | **135.4** | |
| ბინათმშენებლობა | **765.7** | **539.6** | **226.1** |
| გარე განათება და ელმომარაგება | **1,678.5** | **1,678.5** | |
| სატრანსპორტო კომპანია | **161.0** | **161.0** | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | **2,435.2** | **1,151.4** | **1,283.8** |
| სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია | **8,135.2** | | **8,135.2** |

*<u>გრაფიკი #11</u>*




***<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u>*** პროგრამა - 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოხდა დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 20 კმ გრძივი გზის რეაბილიტაცია/მშენებლობა, ფაქტობრივად განხორციელდა 18,5 კმ. კერძოდ:

2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა:

- სოფელ ლიხაური-სოფელ მაკვანეთის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 5165 გრძ.მ.);
- ქ. ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის და ბაქრაძის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 1358 გრძ.მ.);
- ქ. ოზურგეთში ნინოშვილის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის და მოსკოვის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 730 გრძ.მ.);

2023 წელს დაიწყო და დასრულდა:

- დაბა ლაითურის შიდა გზების რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 3280 გრძ.მ.);

2023 წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- სოფ.ცხემლისხიდი (უჩხუბის უბანი) - სოფ.ვაკიჯვრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 4028 გრძ.მ.);
- სოფ.ბახვი-სოფ.ვაკიჯვრის დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია - (მთლიანი სიგრძე 2911 გრძ.მ.);
- ანასეულის დასახლებიდან ჩხაიძის (იმედაშვილის) ქუჩის რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 1373 გრძ.მ.);
- სოფ.შრომაში ვაკისა და ზედუბნის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 3278 გრძ.მ.);
- სოფ. მაკვანეთში (ბაღების უბანი) შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 2062 გრძ.მ.);
- სოფ. მთისპირის (დაბლა ვანისქედი) - სოფ. ბასილეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 1178 გრძ.მ.);
- სოფ. ჯუმათში, მთავარანგელოზის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 5961 გრძ.მ.);
- ქალაქ ოზურგეთში იაკობ შემოქმედელის ქუჩის ბოლოდან სოფელ მელექედურის ცენტრამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 1453 გრძ.მ.);

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა:

- ქ. ოზურგეთში, ეგნატე ნინოშვილისა და მალაზონიას ქუჩების ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოები (სიგრძე 852 გრძ.მ.);
- ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძის, გაბრიელ ეპისკოპოსის და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის სამუშაოები (ლანდშაფტური სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები, ტროტუარების კეთილმოწყობა);
- ქალაქ ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები (ტროტუარის მოწყობა და ტროტუარზე გარე განათების მონტაჟი);
- ქ. ოზურგეთში თაყაიშვილის ქუჩის მე-4 შესახვევის გზის (178 გრძ.მ) რეაბილიტაციის სამუშაოები;
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით განხორციელდა გზებზე მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ღონისძიებები, მ.შ. სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების მოწყობა საერთო სიგრძით - 194 გრძ.მეტრი;
- საგზაო ნაგებობების მშენებლობა - რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა კიუვეტების მოწყობა, საერთო სიგრძით - 425 მეტრი და რკინაბეტონის ანაკრები სახიდე გადასასვლელი მილების მოწყობა, საერთო სიგრძით - 940 მეტრი;

VÖGELE

***<u>წყლის სისტემების განვითარება</u>*** წყალსადენების შიდა ქსელების მოწყობა - რეაბილიტაციის ფარგლებში:

2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა:

- სოფ. ხრიალეთში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები. (ქსელის მთლიანი სიგრძე - 10720 მ) წყალმომარაგების ქსელში ჩაერთო 122 ოჯახი, საბავშვო ბაღი და საჯარო სკოლა.

2022 წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- ნატანების, მე-12 ბრიგადაში წყალომარაგების ქსელის მშენებლობა (ქსელის მთლიანი

სიგრძე - 7839 მ). სამუშაოების დასრულების შემდეგ წყალმომარაგების ქსელში ჩაერთვება 50 ოჯახი.

2023 წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- ნასაკირალის წყალმომარაგების სისტემის დასრულების სამუშაოების განხორციელება. წყალმომარაგების გაუმჯობესების და ქსელის გაფართოების მიზნით შესრულდება დაბა ნასაკირალში ჰორიზონტალური წყალმიმღების (დრენაჟი) მოწყობის სამუშაოები და დვაბზუს ნასაკირალში შიდა ქსელის დასრულების და ერთ უბანზე (19 კომლი) შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები. პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება დაბა ნასაკირალის მოსახლეობის (3400 მცხოვრები) წყალმომარაგების მდგომარეობა, გარდა ამისა წყალი დამატებით მიეწოდება დვაბზუს ნასაკირალის 110 ოჯახს და დაბა ნასაკირალის 19 ოჯახს. მოსაწყობი წყალმომარაგების ქსელის სიგრძე შეადგენს 3381 გრძ. მეტრს.
- მიმდინარეობს სოფელ ნაღობილევში (პირველი უბანი) სასმელი წყლის სისტემის მოწყობის (ქსელის მთლიანი სიგრძე - 2239 მ) სამუშაოები, სამუშაოების დასრულების შემდეგ წყალმომარაგების ქსელში ჩაერთვება 90 ოჯახი;
- სულ 2023 წელს განხორციელდა 18559 გრძივი მეტრი საერთო სიგრძის სასმელი წყლის სისტემის მონტაჟი და წყალმომარაგების ქსელში ჩაერთო 124 აბონენტი.

***<u>საზოგადოებრივი სივრცეების განვითარების პროგრამის ფარგლებში:</u>***

სახელმწიფო პროგრამა-განახლებული რეგიონების ფარგლებში 2021 წელს დაიწყო და სრულდება ქ.ოზურგეთში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო 17787,7 კვმ სივრცე.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით 2022 წელს დაიწყო და დასრულდა:

- ქალაქ ოზურგეთში, ნინოშვილის ქუჩაზე კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში განხორციელდა სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო 4600 კვმ სივრცე;
- ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური მოედნის და მიმდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო 8000 კვმ სივრცე.

2022 წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- ექადიის ტყე-პარკის რეაბილიტაცია.

სულ 2023 წელს კეთილმოეწყო 30388 კვმ ფართობზე 5 ერთეული საზოგადოებრივი სივრცე.

- იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ნაგომარის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით დასრულდა:

- სოფელ შრომაში (ვაკე) საბავშვო ბაღის მშენებლობა (130 მოსარგებლე);
- ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები) სპორტული მოედანის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ქალაქ ოზურგეთში საფეხმავლო ხიდის მშენებლობა.

2022 წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე საჩოგბურთო ცენტრის მშენებლობის სამუშაოები.

2023 წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- რგპფ-ით და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება;
- საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით 2022 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდა სოფელ მშვიდობაურის საჯარო სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოები;
- საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით მიმდინარეობს სოფ. ნაღობილევის სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა სოფ. ბოხვაურში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები;
- ქალაქ ოზურგეთში, ბესიკის ქუჩაზე სკვერის კეილმოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ ოზურგეთში, თამარ მეფის მოედანზე სახელმწიფო სიმბოლიკის - საქართველოს ეროვნული დროშის განთავსების სამუშაოები;
- დასრულდა ოთხი ერთეული სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაო დაბებში: ლაითურში, ნარუჯაში, ნასაკირალში და სოფელ ძიმითში;
- ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის სახურავის რეაბილიტაცია, ვიქტორ დოლიძის ქუჩა N8-ში არსებული შენობის სახურავის რეაბილიტაცია.
- სოფელ ოზურგეთში სამშობლოსათვის დაღუპული თანამემამულეების არსებული მემორიალის რეაბილიტაციისა და დაბა ნარუჯაში საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალის მოწყობის სამუშაოები.

სულ 2023 წელს აშენდა და კეთილმოეწყო 23 ერთეული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობა.



***<u>პროექტირება და ექსპერტიზის პროგრამის ფარგლებში</u>*** მომზადდა 60 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობამ შეადგინა 44 ერთეული.

***<u>სამოქალაქო ბიუჯეტით ხორციელდება შემდეგი პროექტები:</u>***

1. პროექტი - „იპოვე შენი სახლი“;
2. ქ. ოზურგეთში, ლომთათიძის ქუჩაზე სკვერის მოწყობა.

***<u>ბინათმშენებლობის პროგრამის ფარგლებში,</u>*** მრავალბინიანი სახლების ფასადების კეთილმოწყობის მიზნით:

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა:

- ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის სამუშაოები (ჭავჭავაძის ქ. N19 და ვ. დოლიძის ქ. N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია);
- ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის სამუშაოები (ვ. დოლიძის N7, გაბრიელ ეპისკოპოსის N25, გაბრიელ ეპისკოპოსის N27, ვ. დოლიძის N8 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ყოფ. საფერშლოს, საპირფარეშოსა და ჯიხურების შენობების ფასადების რეაბილიტაცია);
- ქალაქ ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები (რუსთაველის ქ. N2, ჭავჭავაძის ქ. N4, ჭავჭავაძის ქ. N6, რუსთაველის ქ. N6);
- ქალაქ ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები

(ჭავჭავაძის ქ. N8, ჭავჭავაძის ქ. N10, 26 მაისის ქ. N30, ჭავჭავაძის ქ. N15, ჭავჭავაძის ქ. N12, ჯიხურები);

2022 წელს დაიწყო და დასრულდა:

- რეგიონული განვითარების პროექტების ფონდის მხარდაჭერით დასრულდა ქ. ოზურგეთში, ფარნავაზ მეფის ქუჩის N1-ში თორმეტსართულიანი სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხებით დასრულდა ვიქტორ დოლიძის ქუჩა N13-ში სტიქიისაგან დაზიანებული მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;

სულ 2023 წელს კეთილმოეწყო 16 ერთეული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

***<u>გარე განათების პროგრამა</u>*** - ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია სულ 13 706 ერთეული სანათი, მ.შ. 9338 LED სანათი. გამოიცვალა დაზიანებული სანათი მოწყობილობები 120 ერთეული. დამატებით დამონტაჟდა 84 სანათი მოწყობილობა. გარე განათების პროგრამა მოიცავს 3 ქვეპროგრამას: გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი და გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია. გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა გარე განათების მონტაჟი.

***<u>მუნიციპალური ტრანსპორტი</u>*** - პროგრამის ფარგლებში შ.პ.ს. „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის 17 დასახლებულ ერთეულში მგზავრების რეგულარული გადაყვანა.

***<u>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის</u>*** ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა დასახლებულ ერთეულებში გზების სავალი ნაწილის კრიტიკულ მონაკვეთებზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა საერთო სიგრძით - 20,98კმ. გზების აღდგენისათვის განხორციელდა 9440 კბმ მზა ბეტონის და არმატურის ბადის შესყიდვა და მიწოდება გზების სარემონტო ლოკაციებზე. სულ განხორციელდა 120 პროექტი.

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 6 %-ი დაიხარჯა დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 3 922,5 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #12-ზე.

*<u>გრაფიკი #12</u>*




2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

**დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება - 2023 წელი**

*ათას ლარში*

| კოდი | პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება | სულ | საკუთარი სახსრები | სახელმწიფო ფონდები |
|---|---|---|---|---|
| 03 01 | მუნიციპალ ური ნარჩენების მართვა და დასუფთავება | **3,566.0** | **3,566.0** | |
| 03 02 | რეკრეაციულ ი სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება | **190.0** | **190.0** | |
| 03 03 | მუნიციპალ იტეტში სანიტარულ -ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა | **337.0** | **337.0** | |
| | სულ | **4,093.0** | 4,093.0 | - |

***<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამა</u>*** - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ყოველდღიურად ხორციელდება, ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული 30 ქუჩის, 6 მოედნის, 3 ბაღის და 4 სკვერის, მოცულობით 248690 მ2 ფართობი.
- პერიოდულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრების ცენტრალური მოედნებისა და არსებული სკვერების დაგვა დასუფთავება მოცულობით 71310 მ2.

- ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება სანაგვე ურნების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო სოფლებში ყოველ მესამე დღეს.

***<u>რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება</u>*** - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა. გასხვლა-ფორმირება, შებარვა, გაცელვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.

*<u>გრაფიკი #13</u>*




---

## განათლება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 13,3 %-ი დაიხარჯა განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 9 366,4 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #14-ზე.

*გრაფიკი #14*




2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

| პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება | სულ | საკუთარი სახსრები | სახელმწიფო ფონდები |
|---|---|---|---|
| სკოლამდელი დაწესებულებების მიმდინარე დაფინანსება | **6,995.4** | **6,995.4** | |
| სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია | **385.4** | **316.9** | **68.5** |
| ზოგადი განათლების ხელშეწყობა მ.შ. სკოლების რეაბილიტაცია | **1,945.6** | **1,828.5** | **117.2** |
| არაფორმალური განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | **70.0** | **70.0** | |
| **სულ** | **9,396.4** | **9,210.7** | **185.7** |

- მუნიციპალიტეტში არსებულ 45 საბავშვო ბაღის მომსახურებით ისარგებლა 2106 ბავშვმა;
- განხორციელდა სოფელ შრომის საბავაშვო ბაღის მშენებლობა;
- 2023 წელს უზრუნველყოფილი იქნა საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება.
- 12 სკოლა დაფინანსდა მცირე კაპიტალური პროექტებისთვის თითოეული 5000 ლარამდე;განხორვიელდა სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა.

- საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები სკოლებში (სოფ.ოზურგეთი, ცხემლისხიდი, მშვიდობაური);
- მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისათვის და მოქალაქეებისათვის კონსულტაციების გაწევა გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით;

*გრაფიკი #15*




## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 9,4 %-ი დაიხარჯა კულტურა, ახალგაზრდული და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 6 621,9 ათას ლარს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #16-ზე.

*გრაფიკი #16*




2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

| კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია | ათასი ლარი |
|---|---|
| **პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება** | **სულ** |
| სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2,781.2 |
| კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 3,686.6 |
| ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 54.1 |
| რელიგიური ორგანიზაციები | 100.0 |
| **სულ** | **6,621.9** |

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე.

***<u>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u>***

- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება;
- ქვეპროგრამით სარგებლობს 2799 ბავშვი;
- ჩატარებული სპორტული ღონისძიების ოდენობა შეადგენს 60.

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შემდეგ ქვეპროგრამებს მოიცავს:

*<u>გრაფიკი #17</u>*




***<u>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</u>***

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს, კულტურის ცენტრის, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას. ამ კუთხით განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

*<u>გრაფიკი #18</u>*




- გურული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მიზნით საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობამ შეადგენა 45-ს.

***<u>ახალგაზრდული პროგრამები</u>*** - პროექტის მიზანია ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერა, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების - ქუჩის მხატვრობის, ფოტოგრაფიის, შემოქმედებითი ინსტალაციის, ურბანული და კონცეპტუალური ხელოვნების, შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა; ასევე ტურიზმის პოტენციალის ზრდა და მდგრად განვითარებაზე.

- პროგრამის ფარგლებში- „Street Art ოზურგეთისთვის ფარგლებში გრაფიკული ნახატებით მოიხატა მრავალბინიანი კორპუსის ფასადები (მერაბ კოსტავას ქ. N 129, დავით აღმაშენებლის N4 , ილია ჭავჭავაძის ქ.N8, ვიქტორ დოლიძის N7, N4-ე საჯარო სკოლის ფასადი, ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე არსებული კედელი,აპოლონ წულაძის ქ.N 7 ).
- ახალგაზრდული ინიციატივების რაოდენობა 20 ერთეული;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა 100 ერთეული.

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 3,2 %-ი დაიხარჯა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2 232,3 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

*გრაფიკი #19*




2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

| | |
|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვა | 1,021.1 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,211.2 |
| **სულ** | **2,232.3** |

***ჯანმრთელობის დაცვა*** - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს 6 ქვეპროგრამით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი 3280 მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება;

***სოციალური დაცვა*** - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს 13 ქვეპროგრამით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 870 მოქალაქის მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება. იხ. გრაფიკ #20:

*გრაფიკი #20*



***<u>ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება</u>*** პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებობების განვითარება და ეკონომიკური სუბიექტების მხარდაჭერა. მუნიციპალური ქონების მართვის ეფექტურობისათვის დაგეგმილია ელექტრონული ბაზის მომზადება, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების შესახებ, ინფორმაცია განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიონ საჭირო ქონება ბიზნესის განვითარებისათვის, შესაბამისი განყოფილების მიერ ჩატარდება ელ. აუქციონი; სოფლის მეურნეობის კუთხით დაგეგმილია ადგილობრივი წარმოების გაზრდის და პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის მნიშვნელოვანია ქალი მეწარმეების მხარდაჭერა; საინვესტიციო მიმართულებით დაგეგმილია ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო აქტივობები, ჩატარდება ჩაის ფესტივალი; გაგრძელდება ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმისათვის საჭირო საბაზისო მონაცემებზე მუშაობა  და მომზადდება გეგმის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია;

*<u>გრაფიკი #21</u>*




*გრაფიკი #22*




## ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2021-2023 წლების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 60,768.4 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #23-ზე და #24 გრაფიკებზე:

*გრაფიკი #23*



*<u>გრაფიკი #24</u>*




---

როგორც გრაფიკებიდან ჩანს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 45,5% (70,7 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის სუბსიდიების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 47,8 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 30,8%).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მესამე ბოლო 3 წლის მიხედვით არის საქონელი და მომსახურების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 11,8 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 7,6%).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯა 11,0 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 7,1 %-ია და ა.შ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #23-ზე.

*<u>გრაფიკი #25</u>*